ცნობის ფურცელი

№ 1802 ოთხშაბათი, 8 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1802

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქრივი ევა დიმიტრის ასული კოლპაკოვისა უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმ ნათესავებს და ნაცნობებს, ვინც წერილობით თუ ტელეგრამმით მონაწილეობა მიიღო იმის მწუხარებაში და ანუგეშა თავის ძვირფასის მეუღლის გორის მაზრის სამმართველოს მდივნის **ალექსი ივანეს ძის კოლპაკოვის** გარდაცვალების გამო. (1—315—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 მაისს 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

უკანასკნელი წარმოდგენა

1.

სამშობლო

დრამა ე მოქმ. გად. დ. ერისთავის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, გოგიშვილი, ჩნეულოვისა.

ბ.ბ. ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, რომანიშვილი, საფაროვი და სხვანი.

დასაწყისი 8 1/2 საათზე. ფასები ჩვეულებრივი.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 19 დღესა, დილის ათ საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა იმ ანგარიშის შესახებ; 3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის; 4) კერძო მოხსენებანი; 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად ბ. ი. გოგებაშვილისა, რომელმაც წევრობას თავი დაანება, და 6) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—1)

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა **№ 24.**

ტელეფონი № 642.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

ექიმები:

ქ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ს. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. გოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-

ტელეფონი № 274. (წლ.))

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის კონტორა

უმორჩილესად სთხოვს ამხანაგობის წევრთ, გამოუგზავნონ კონტორას თავიანთი ადრესები მდგომარე მაისის ოც-და-შვიდამდე.

საზღვარ-გარედ

საშინელი კატასტროფა მარტინიკის კუნძულზე. მარტინიკის კუნძულზე, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის, იფეთქა საშინელის ძლიერებით ვულკანმა და ქალაქი სენ-პიერი და სამი სოფელი იმსხვერპლა. ვულკანს დაუწყია მოქმედება 20 აპრილს. ჯერ ამოვარდნილა ვულკანიდან ფერფლი და მიდამოები დაუფარავს. მიწის-ქვეშეთიდან ისმოდა რყევა. პირველში არავითარი უბედური შემთხვევა არა ყოფილა. ორი დღე ყველაფერი დაწყნარებული და დამშვიდებული იყო, მაგრამ ოცდა სამ აპრილს ვულკანიდან ადუღებული ტალახი გადმოდინდა და 24 და 25 ყველგან მიწის ძვრას გრძნობდნენ. წყალში გაყვანილი სატელეგრაფო მავთულები დაწყდა. მარტინიკის ვულკანმა დაიწყო მოქმედება, საშინელის სიძლიერით ამოხეთქა და ცეცხლის წვიმამ ქალაქი სენ-პიერი და სამი სოფელი დაჰფარა. დაიღუპა 40.000-მდე ადამიანი.

სამ საუკუნის განმავლობაში კუნძულ მარტინიკზე ცხრამეტ-ჯერ მოხდა მიწის ძვრა. უძლიერესი იყო 1657, 1766 და 1839-ში. გარდა მიწის ძვრისა მარტინიკზე ხშირად იციან ციკლონებიც. 1780-ში ციკლონმა 1000 სული იმსხვერპლა და ასი სახლი დაანგრია. 1891-შიაც საშინელი ციკლონი იყო: ფორდე-ფრანსში თითქმის ყველა სახლები დაინგრა; ორმოც სოფელზე მეტი მოისპო; დაიღუპა ოც-და-ათი გემი და ხუთასზე მეტი სული. 50 წლის წინათ მარტინიკის ვულკანმა დაიწყო მოქმედება, მაგრამ სუსტად და დიდი ზარალი არ მიუყენებია მცხოვრებლებისათვის. ნახევარი საუკუნის შემდეგ ვულკანმა ისევ გაიღვიძა და ამ გაღვიძებას მოჰყვა ისეთი უბედურება, რომლის მზგავსი კაცობრიობას არ ახსოვს.

ცნობილ გეოლოგ ჯონ მილნის აზრით ეს საშინელი ამოხეთქა ვულკანისა შემდეგის მიზეზის გამო მოხდა: წყალი ბლომად ჩასულა მიწის ქვეშ და მიუღწევია გადნობილ ნივთიერებამდე, რომელიც მიწის შუა გულს არის; ეს დიდძალი წყალი ერთბაშად ორთქლად ქცეულა, განვითარებულა საშინელი ენერგია და ვულკანსაც ამოუხეთქია.

მარტინიკის ეხლანდელი უბედურება ბევრად უფრო საშინელია, ვიდრე ყველა სხვა ცნობილი კატასტროფები, როგორც, მაგალითად—ჰერკულანუმის და პომპეის დაღუპვა 79 წელს ქრისტეს შემდეგ, ეტნას ამოხეთქა 1666 წელს სიცილიაში და სხვა. 1883 წ. კრაკატოას ვულკანის ამოხეთქამ დაღუპა ოცი ათასი სული, მარტინიკზე კი ეხლა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, 40 ათასამდე დაიღუპა.

ინგლისი. ლიბერალ იმპერიალისტები ენერგიულად შეუდგნენ მოქმედებას. „ლიბერალური ლიგა“, რომელსაც მეთაურობს ლორდ როზბერი, შეუდგა ადგილობრივ განყოფილებების ორგანიზაციას და პროგრამის შემუშავებას. პროგრამა, გაზეთების სიტყვით, ასეთი იქნება:

„ლიბერალურ ლიგის მიზანია შეაერთოს ყველა ის ლიბერალები, რომელნიც თანაუგრძნობენ როზბერის ჩესტერფილდის სიტყვაში გამოხატულ პოლიტიკას. ლიგა ჰფიქრობს, რომ მხოლოდ ერთ პოლიტიკის ნიადაგზე შეუძლია განვითარდეს პრაქტიკული ლიბერალისმი. პროგრამის უმთავრესი მუხლები არის: 1) ლიბერალები ემსახურებიან თავისუფალ და მშვიდობის მოყვარე ბრიტანიის იმპერიის ხელ-შეუხებლობასა და ინტერესებს; 2)ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ გარეშე პოლიტიკის კითხვებს უნდა დაეთმოს უპირატესობა, რადგანაც მილიტარისმი ვითარდება და მწვავდება საერთაშორისო კონკურენცია სავაჭრო-სამრეწველო საქმეებში; 3) ლიგას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ბრიტანიის გეგემონიის შენახვა ზღვებზე და ხმელეთის ჯარის ძირითადი რეორგანიზაცია; 4) შინაურ პოლიტიკაში ლიგა წინდაწინვე არ ადგენს განსაზღვრულ პროგრამას, მაგრამ ჰფიქრობს, რომ ეხლანდელს ლიბერალური პროგრამა უნდა შემოკლდეს და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის, მაგარ სასმელების და იაფფასიან სადგომების კითხვებს; 5) ლიგა წინააღმდეგია ირლანდიის დამოუკიდებელ პარლამენტისა, მაგრამ იგი ამასთანავე წინააღმდეგია რეპრესიების პოლიტიკისა“.

განსხვავება ამ პროგრამისა ინგლისელ კონ-

ფელეტონი

—

ქალაქის თვითმმართველობა რუსეთში

II *)

1892 წლის საქალაქო დებულება

როდესაც 1881 წელს მთავრობა შეუდგა ადგილობრივ მმართველობის შეცვლას, განზრახული ჰქონდათ მხოლოდ ზოგიერთის მცირე ცვლილების მოხდენა საქალაქო დებულებაში. დებულების ძირითადათ შეცვლა აუცილებელი შეიქმნა 1890 წელს, როდესაც ახალმა ერობამ სულ სხვა საძირკველზე დაამყარა ადგილობრივის თვითმმართველობის საქმე. ახალის დებულებისათვის საჭირო მასალების დამზადება დაიწყეს 1890 წელს, შემდეგ 1891 წელში უკვე წარდგენილ იქმნა სახელმწიფო საბჭოში განსახილველად ახალი დებულების პროექტი, 1892 წლის 11 ივნისს იგი უკვე დაამტკიცა უმაღლესმა მთავრობამ, და იმის თანახმად შეცვლილ იქმნა ყველგან ქალაქის თვითმმართველობა.

ახალი საქალაქო დებულება არის ორგანიული ნაწილი იმ საკანონმდებლო ტრილოგიისა (ზემსკი ნაჩალნიკების ინსტიტუტების შემოღება 1889 წელს, ერობათა რეორგანიზაცია 1890 წ. და 1892 წლის საქალაქო დებულება), რომლის მიზანია ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობისათვის თვით-მმართველობის კაცების მაგიერ მთავრობის მიერ დანიშნულ კაცების ჩაყენება და დამკვიდრება.

1892 წლის საქალაქო დებულებით ქალაქის ხელში დარჩა ყველა იმ საქმის გაკეთება, რაც წინადაც ჰქონდა მას მინდობილი. ამ მხრივ კანონს თითქმის არ შეუზღუდვნ თვით-მმართველობის უფლება. მაგრამ ახალმა დებულებამ ძირიანად შესცვალა საარჩევნო უფლება, ადმინისტრაციის და თვითმმართველ ორგანოების ურთიერთობა და ქალაქის გამგეობის საბჭოსაგან დამოკიდებულობა.

ამომრჩეველნი. წინანდელ დებულებას შედარებით მთელი ქალაქის საზოგადოება ჰყავდა სახეში, ახალს-კი მხოლოდ ზოგიერთა მცხოვრებლები. ახლა ქალაქის თვით-მმართველობაში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა: 1) კაცს ან დაწესებულებას ქალაქში ჰქონდეს საკუთრებად უძრავი ქონება, რომელიც უნდა იყოს შეფასებული სატახტო ქალაქებში არა ნაკლებ 3,000 მანეთისა, ასი ათასზე მეტ მცხოვრებიან ქალაქებში—არა ნაკლებ 1500 მანეთისა, საგუბერნიო და საოლქო და აგრეთვე დიდს სამაზრო ქალაქებში—არა ნაკლებ 1000 მან. და დანარჩენ ქალაქებში—არა ნაკლებ 300 მანეთისა, ან 2) კაცს, ამხანაგობას, კომპანიას ჰქონდეს სავაჭრო ან სამრეწველო წარმოება, და ამისათვის აღებული სატახტო ქალაქებში პირველის გილდიის მოწმობა, სხვა ქალაქებში—პირველის ან მეორეს გილდიის მოწმობა.

თუ რამდენად შეამცირა ახალმა კანონმა ამომრჩეველების რიცხვი, ეს აშკარად სჩანს შემდეგის ცნობებიდან: პეტერბურგში წინად იყო 21 ათ. ამომრჩეველი, ახლა—8 ათასია, მოსკოვში იყო 20 ათ., ახლა—7 ათასია, კიევში იყო 4157, ახლა 2710, ხარკოვში იყო 6890, ახლა 2291-ია; დონის როსტოვში 1887 წ. იყო 5383 ამომრჩეველი, 1893 წელს კი 788 და 1897—1224 და თუ მივიღებთ მხედველობაში მცხოვრებთა რიცხვის ზრდას, მაშინ დავინახავთ, რომ ამომრჩეველების რიცხვმა იკლო 7 თუ 8 ჯერ.

დღევანდელის დებულებით ქალაქის თვითმმართველობიდან გამორიცხულია წინანდელი მესამე ჯგუფი (შეუძლონი) სრულიად და ნაწილი მეორე ჯგუფისა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ დღეს ებრაელებს ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება, მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც ებრაელებს მუდმივი ცხოვრების უფლება აქვთ мѣста черты еврейской осѣдлости), საქალაქო საქმეთა საკრებულო ებრაელებიდან რამდენსამე კაცს ჰნიშნავს ხმოსნებად. ასეთს ქალაქებში მცხოვრებთა თითქმის 9/10 დაეკარგა საარჩევნო უფლება,—კიშინოვში, მაგალითად, წინად 4,062 ამომრჩეველი იყო, დღეს-კი მხოლოდ 495, ეკატერინოსლავში წინად 50 ათ., მცხოვრები იყო და 3000-მდე ამომრჩეველი, დღეს—121 ათასი მცხოვრებია და 783 ამომრჩეველი მხოლოდ.

გარდა ამისა საარჩევნო უფლებისათვის საჭიროა (როგორც წინად), რომ საზოგადო უფლება ჩამორთმეული არ იყოს ადამიანი, სამსახური ნებას აძლევდეს თვით-მმართველობაში მონაწილეობის მიღებისას, უნდა იყოს 25 წლის, რუსეთის ქვეშევრდომი და აგრეთვე მაზედ არ უნდა იყოს დარჩენილი ნახევარ წლისაზე მეტი ქალაქის სასარგებლოდ დადგენილი გადასახადი.

წინად ყოველს ამომრჩეველს შეეძლო თავისი უფლება მეორე ამომრჩევლისათვის გადაეცა, ახლა უფლების გადაცემა შეუძლიან მხოლოდ ქალს (ისიც ზოგიერთა ახლობელ ნათესავებისათვის) და სრულ წლოვანს, რომელიც ჯერ არ შექმნილა 25 წლის (ოპეკუნებისა და მზრუნველებისათვის).

ხმოსნების ამორჩევა შეიძლება ერთად ან რაიონებად. ხმოსნების რიცხვი არ უნდა იქნეს 20 ნაკლები, როდესაც ასი ამომრჩეველია ქალაქში, შემდეგ ყოველ 50 ამომრჩეველზე ემატება 3 ხმოსანი, ვიდრე საერთო რიცხვი ხმოსნებისა არა ავა სატახტო ქალაქებში 160-მდის, ასი ათასზე მეტ მცხოვრებიან საგუბერნიო ქალაქებსა და ოდესაში—80-მდის, სხვა საგუბერნიო, საოლქო და დიდ სამაზრო ქალაქებში—60-მდის და დანარჩენ ქალაქებში—40-მდის.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1797.

სერვატორების პროგრამიდან ისე მცირეა, რომ ახალი „ლიბერალი ლიგი“-ს ცალკე არსებობა ხანგრძლივი არ უნდა იქნეს.

მადაგასკარი. 1815 წლიდან 1995-მდე, ე. ი. მთელი ოთხმოცი წელიწადი ინგლისი და საფრანგეთი ერთმანერთს ეცილებოდნენ კუნძულ მადაგასკარზე. ინგლისი, თავის სისტემის მიხედვით, რომელსაც მან მხოლოდ სამხრეთ-აფრიკაში უღალატა, სცდილობდა შეეძინა კუნძული მცხოვრებთა გულის მოგებით. ამ მიზნის მისაღწევად ინგლისელები დაუახლოვდნენ მადაგასკარზე უძლიერესს თემს ჰოვასებისას. მიუხედავად ამისა, ფრანგებმა მაინც მოახერხეს ძველ მეტოქის პლანების დარღვევა და კუნძულის ხელში ჩაგდება. საფრანგეთის მთავრობა დიდის ენერგიით შეუდგა კუნძულზე ფრანგების პოზიციების გამაგრებას, რათა უზრუნველ ჰყოს თავისი ახალი სამფლობელო ინგლისელებისაგან. პირველად გაამაგრეს დიეგო-სუარეცის ნავსადგური, რომელიც შეუერთეს ტელეგრაფით კუნძულის უმთავრეს სტრატეგიულ პუნქტებს. ამასთანავე მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია გზების გაუმჯობესებას.

საფრანგეთი ეხლა მკვიდრად სდგას მადაგასკარის ტერიტორიაზე. ფრანგი კაპიტალისტები შეუდგნენ ბუნებით მდიდარ კუნძულის გამოკვლევას და ექსპლოატაციას. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ფრანგებისათვის ერთი საფრთხე, რომელიც ინგლისელებმა შეჰქმნეს: ძლიერისა და ომის მოყვარე ჰოვასების თემის მტრობა. საქმის კარგად შესწავლისა და კუნძულის გენერალ-გუბერნატორის გალიენის რჩევით საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მიჰმართოს იმავე საშუალებას, რომელსაც ინგლისელები ხმარობენ, ე. ი. ჰუმანურ ზომებით მოიგოს ჰოვასების გული. შესანიშნავ ადმინისტრატორის გალიენის პროექტით, ჰოვასების უფროსებად და მმართველებად უთუოდ ჰოვასებივე უნდა იქმნენ საფრანგეთის სამხედრო მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ. ეს უფროსი ჰოვასები საფრანგეთის სამსახურში ჩაითვლებიან და მიიღებენ ჩინებსა და ჯილდოებს; მისცემენ მათ კარგ ჯამაგირს და პენსიას დამსახურების შემდეგ; შვილებს მთავრობა უზრდის თავის სკოლებში. ამ გვარად ჰოვასები შეეთვისებიან ფრანგებს და თვითვე გახდებიან საფრანგეთის ინტერესების დამცველები.

საფრანგეთის მთავრობის ახალი პოლიტიკა მადაგასკარზე გონიერია და მიზანსაც მიაღწევს, მაგრამ იგი მაინც ვერ იხსნის საფრანგეთს მადაგასკარელების უკმაყოფილებისაგან: კარგი ჯამაგირი, პენსია, ჯილდო მანამდე იქნება სასარგებლო იარაღი ფრანგების ხელში, სანამ მადაგასკარელები ყველას ამას აფასებენ, სანამ ვერ მიხვდებიან ისინი, რომ ყველა ეს პატივისცემა მათივე ხარჯით ხდება, რომ საფრანგეთის კონტროლი შემავიწროებელია. შემდეგ კი, როცა მადაგასკარელი ყველა ამას გაიგებს და მიხვდება, რომ საფრანგეთი მის უფლების დამრღვეველი და უზურპატორია, ერთის სიტყვით, როცა იგი გათვითცნობიერდება, ფრანგი მას ვერ მოატყუებს ისეთის სათამაშოებით, როგორც ჯამაგირი, პენსია და ჯილდოებია, იგი დამპყრობელს ანგარიშს მოსთხოვს და აღიდგენს დაკარგულ თავისუფლებას და ისე, რომ შემდეგში აღარ დაჰკარგავს. დაპყრობილ ხალხის გულის მოგება ხსენებულ საშუალებით მანამდე შეუძლია დამპყრობელს, სანამ ხალხი განუვითარებელია და ვერ არჩევს თაღლითს მარგალიტისაგან.

ახალი ამბავი

◆ „ქ. შ. **წერა-კითხვის გამავრცელებელ** საზოგადოების“ გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე, სხვათა შორის, გადაუწყვეტიათ: 1) დაარსდეს ს. წევაში (შორაპნის მაზრა) სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომლის დამაარსებელია ზ. სევ. გაჩეჩილაძე, და 2) საზოგადოების მორიგი კრება მოწვეულ იქმნას 19 მაისს.

◆ „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ პოლკოვნიკი **ტროფიმოვი** დაინიშნა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად ნაცვლად გარდაცვალებულის სანდრიგაილოსა.

◆ როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ადმინისტრაციას განზრახვა უნდა ჰქონდეს **გადადოს საქალაქო არჩევნები** შემოდგომისათვის.

◆ დღეს, 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტფ. სამეურნეო ბანკის დარბაზში სხდომა ექნება ტფილისის **პირველ საარჩევნო ნაწილის კომიტეტს**, რომელმაც, თანახმად ამომრჩეველთა 5 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა, ხელ-ახლავ უნდა დაათვალიეროს და შეავსოს ასარჩევ ხმოსანთა კანდიდატების სია.

◆ დღეს, 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კავკასიის შეუძლებელ **სტუდენტთა დამხმარებელ** საზოგადოების ახლად ამორჩეულ გამგეობის სხდომა; უნდა ამოირჩიონ გამგეობის თავმჯდომარე, აგრეთვე განიხილონ საკითხი, თუ როდისთვის დანიშნონ საზოგადო კრება გამგეობის წევრთა კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრების ამოსარჩევად.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების ზოგიერთ წევრს განცხადება შეუტანია საზოგადოების გამგეობაში—ეხლახან მოხდენილი არჩევნები უკანონო იყოო. გამგეობა აპირებს ამ საკითხის განხილვასა და მოსაწვევ საზოგადო კრებისათვის წარდგენას.

◆ პარასკევს, 10 მაისს, ტფ. არტისტიულ საზოგადოების თეატრში გაიმართება წარმოდგენა **ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების** საშუალებათა გასაძლიერებლად.

◆ ხუთშაბათს, 9 მაისს ქართულ თეატრში გაიმართება **საქველ-მოქმედო წარმოდგენა**; შემოსავალი გადაიდება ვლ. ალექსი-მესხიშვილის ვაჟის სასარგებლოდ, რომელიც წელს ათავებს სათავად-აზნაურო გიმნაზიასა და უმაღლეს სასწავლებელში მიდის. წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის** დათვალიერება დაიწყება 15 მაისიდან. 15-ან 17 მაისამდე დაათვალიერებენ გზას ტფილისიდან სადგურ სურახანამდის; შემდეგ 18 მაისს სადგურ ტფილისს; 24 და 25 მაისს ყარსის გზას; 27, 28, 29 და 30 მაისს—ტფილისიდან ბათუმამდე, ფოთამდე, ტყიბულის, ქიათურის, სურამის, ბორჯომის და ბაკურიანის შტოებს.

◆ პარასკევს, 10 მაისს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საბჭოს საფინანსო კომისიისა ტფილისში **საადრესო სტოლის** ქალაქის ხარჯით დაარსების შესახებ. სხდომაზე მოწვეულნი არიან ტფილისის პოლიცმეისტერი ბ̃ ხმოსნები: სულხანიშვილი, ავთანდილოვი და თაიროვი.

◆ დღეს, 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელზედაც უნდა განიხილონ **ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისათვის** ახლად შემუშავებულ წესდების პროექტი.

◆ როგორც თელავიდან გვატყობინებენ, თელავის მაზრის ზოგიერთ სოფლებში წარსულ აპრილის შუა რიცხვებში მოსულ **სეტყვისაგან** მეტად გაფუჭებულა ვენახები და ხეხილეულობა.

◆ ამ დღეებში დავბეჭდეთ ამბავი იმის შესახებ, რომ სასამართლომ ფულის გადახდევინება მიუსაჯა **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას** მოიჯარადრე დანდუროვის სასარგებლოდ. ახლა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა წარუდგინა საზოგადოების საბჭოს საბუთი, რომლიდანაც სჩანს, რომ იგი დანდუროვის ქაღალდებზე ხელს აწერდა არა როგორც კომისარი, არამედ როგორც კერძო პირი გასართობის მომწყობ კომისიის მინდობილობით და ამიტომ პასუხის მგებელიც ხსენებული კომისია არისო და არა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

◆ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის დღიდან ამ ჟამამდე **ადმინისტრაციას დაუჯარიმებია** 86 სახლის პატრონი და სამი სასტუმროს პატრონი ხსენებულ დადგენილებათა დარღვევის გამო. ჯარიმის ჯამი 225 მანეთია.

◆ 6 მაისს ტფ. მეორე საქალებო გიმნაზიაში გამართულ იქმნა სალიტერატურო დილა **ჟუკოვსკის** ხსენების პატივსაცემლად.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ადმინისტრაციამ წინადადება მისცა საშუალო სკოლების უფროსებს, რომ **საქცევისა და ხელსაქმის** წლიური ბალი დასწეროს არა მასწავლებელმა, არამედ საგანგებო კომისიამ.

◆ ოფიციალურ ცნობებით, აპრილის განმავლობაში **ქალაქში მოურეკიათ** 22,238 სული საქონელი, გაუყიდნიათ 7754. ქალაქს აუღია საქონლის დგომის ქირა 1546 მან. და 86 კ.

◆ გუშინდელ №-ში დაბეჭდილი გვქონდა ამბავი აკიმოვის ქუჩაზე მომხდარ **მკვლელობის შესახებ**. გუშინ გასჭრეს მოკლულის გვამი და აღმოჩნდა, რომ უცნობისათვის 7 მძიმე ჭრილობა მიუციათ ბებუთით. მოკლულის ვინაობა ვერ აღმოაჩინეს; ჰგონიათ მხოლოდ, რომ ის მაჰმადიანი უნდა იყოს; ახალგაზდა, ასე 24 წლის კაცია; ტანთ ევროპიულად აცვია. არ იციან არც მკვლელობის მიზეზი, არც მკვლელთა ვინაობა.

◆ ქალაქის თვით-მართველობამ მიანდო ინჟენერ ეგოროვს გამოიკვლიოს, თუ რომელ ადგილს ემჯობინება **ცენტრალურ ელექტრონის სადგურის** გამართვა და წარმოადგინოს თავის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომელ ქუჩებზე უნდა იქნეს გაყვანილი მიწის ქვეშ ელექტრონის მავთულები. გარდა ამისა ქალაქი შეეკითხა უსახელო საზოგადოებას, შეუძლია თუ არა მას ქალაქის განათებისათვის საჭირო ელექტრონის ენერგიის მიცემა და რა პირობებით.

◆ გალკინის ფირმის წარმომადგენელმა თავ. დ. ა. გურამიშვილმა ტფ. ქალაქის თავის მოადგილეს განცხადება წარუდგინა, რომლითაც ქალაქის თვითმართველობას ურჩევს **ქუჩის განათებას** გალკინის სისტემის ფარნებით. ჯერ ხანობით თავ. გურამიშვილი ურჩევს 100 ფარნის დადგმას, რაც ქალაქს იაფად დაუჯდება. საზოგადოთ, თავ. გურამიშვილი მოხსენებაში ამტკიცებს, რომ ამგვარი განათება ელექტრონულ განათებას აჯობებს და უფრო იაფადაც დაჯდებაო.

◆ ჩვენ მივიღეთ მეხუთე № **ჟურნალ „მოგზაურისა“** შემდეგის შინაარსით: 1) პირველ-ყოფილ ხალხის მეურნეობა—ბ. კ—სა 2) საქართველოს ისტორია სომხურ ქრონიკებში—ა. კვერკველაძისა, 3) ჰერეთის აღწერა—ინგილო ჯანაშვილისა, 4) ანტონ I—თ. ჟორდანიასი, 5) ქართველთა მოქცევა—ლ—ისა და სხვ. მივიღეთ აგრეთვე ამ ჟურნალის დამატება—„გამოსადეგი ცნობანი“, რომელშიაც მოთავსებულია—აღორძინების ეპოქის სხვა-და-სხვა მიმართულებანი, ერთმანეთის დამხმარე საზოგადოებანი, იაფ-ფასიანი საჯარო სამკითხველოები ხალხისათვის, წიგნებით ვაჭრობის საქმე ჩვენში და სხვ.

◆ **ცხენების ბაზარზე** სულ თხუთმეტი ცხენი მოურეკნიათ და აქამდე არ ემატება.

◆ **ბათუმის ქალაქის თავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი 7 მაისს ბათუმს დაბრუნდა.**

◆ **6 მაისს ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაირჩო ვიღაც ახალგაზდა ქალი; გვამი ვერ იპოვეს.**

◆ **კბილის ექიმი ფრანკი, რომელიც ბაბანასოვის სახლში დგას გოლოვინის პროსპექტზე,**

„არა ქრისტიან ხმოსანთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ხმოსნების საერთო რიცხვის ერთს მეხუთედ ნაწილს. მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც ქრისტიანები ცოტანი არიან და ამ დაწესების ასრულება ძნელი იქნება, საქალაქო საქმეთა საკრებულოს წინადადებით იგი შეიძლება შეცვლილ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ“. (საქ. დებ. 44).

თუ პირველ საარჩევნო კრებაზე არ იქმნა არჩეული საჭირო რიცხვი ხმოსნებისა, ინიშნება მეორე კრება და თუ ახლაც არ იქნა შევსებული საჭირო რიცხვი, მაშინ დანარჩენ ხმოსნებად ინიშნებიან ისინი, ვინც წინანდელ ოთხს წელს იყვნენ ხმოსნებად.

როდესაც ხმოსნების არჩევნები გათავდება, ქალაქის გამგეობა არდგენს ხმოსნების სიას და გადასცემს მას გუბერნატორს საარჩევნო საქმის წარმოებასთან ერთად. გუბერნატორი თუ დაინახავს, რომ არჩევნების დროს რაიმე უწესოება იყო ჩადენილი, საქმეს საქალაქო საქმეთა საკრებულოს გადასცემს განსახილველად.

ქალაქის საბჭო და ქალაქის გამგეობა. ხმოსნების რიცხვი, როგორც აღვნიშნეთ ზევით, წინანდელთან შედარებით ძლიერ შემცირდა, თუმცა ქალაქების მეურნეობა დღეს უფრო განვითარებულია და მეტს ძალას და შრომას მოითხოვს.

წინად საბჭოს სხდომების რიცხვი განუსაზღვრელი იყო და დამოკიდებული იყო თვითონ საბჭოსაგან. დღეს-კი სხდომების რიცხვი არ შეიძლება 24-ზე მეტი იყოს წლის განმავლობაში და სხდომების დღეები ერთის წლით უნდა იყოს შედგენილი წინდაწინ.— წინად საგანგებო სხდომის დანიშვნა შეიძლებოდა ხმოსნების ერთის მეხუთედის ნაწილის მოთხოვნით, ახლა კი ამისათვის საჭიროა გამგეობის სურვილი და ადმინისტრაციის ნებართვა. სამაგიეროდ გამგეობის ინიციატივით ან ადმინისტრაციის ბრძანებით ყოველთვის შეიძლება მოწვეულ იქმნას საბჭო.

წინად ხმოსნებს ზნეობრივად დავალებული ჰქონდათ საბჭოში სიარული, დღეს თუ ხმოსანი უმიზეზოდ არ დადის სხდომაზე, იგი შეიძლება დაჯარიმებულ იქმნას და დროებით გამორიცხულ ხმოსნების სიიდან.

რაც შეეხება საბჭოს და გამგეობის ურთიერთობას, ნომინალურად საბჭო დღესაც გამგებელი, მეთვალყურე და შემამოწმებელი ორგანოა, მაგრამ მხოლოდ ნომინალურად. ნამდვილად-კი მმართველობის ცენტრი დღეს გადატანილია აღმასრულებელ ორგანოში— გამგეობაში ახალის საქალაქო დებულების 95 მუხ. ამბობს: „ქალაქის გამგეობას აქვს მინდობილი პირდაპირი მართვა ქალაქის საქმეებისა ამ დებულების წესების მიხედვით და **აგრეთვე** თანახმად საბჭოს დადგენილებათა“. ეს ის არ არის, რაც ამგვარივე მუხლი წინანდელის დებულებისა. დღეს გამგეობა არაა მარტო აღმასრულებელი ორგანო, როგორიც იყო წინანდელი გამგეობა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ დღეს უმთავრესი და უდიდესი, საარჩევნო საქმე აბარია გამგეობას. საბჭოს შეუძლიან თავისი **მოსაზრებანი** გამოსთქვას არჩევნების რაიონებად დაყოფის შესახებ; შემდეგ-კი შედგენა და შესწორება საარჩევნო სიებისა, მათზე საჩივრების განხილვა, გამოქვეყნება სიების, საარჩევნო დღეების დანიშვნა და სხ.,—ყველაფერი ეს გამგეობის ხელშია, რომელსაც ამ საქმეში თვალ-ყურს ადევნებს საგუბერნიო ადმინისტრაცია და არა ქალაქის საბჭო.

გამგეობას შეძლება ეძლევა საბჭოს დაუკითხავადაც იმოქმედოს და განაგოს საქმეები. თუ ვინიცობაა საბჭოს სხდომა არ შესდგა, მაშინ გამგეობის მოხსენება და პროექტი შეიძლება პირდაპირ განხორციელებულ იქმნას ადმინისტრაციის თანხმობით (უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭო საქმეებს იხილავს ან გუბერნატორის, ან ხმოსნებისა და ქალაქის თავის, ან გამგეობის წინადადებით და ან კერძო პირების თხოვნით), და შეიძლება საბჭო ამ საქმეში სრულიად ეწინააღმდეგებოდეს გამგეობას.

მერე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც გამგეობამ უნდა იმოქმედოს „თანახმად საბჭოს დადგენილებისა“, ჯეროვანი შესრულება ამ დადგენილებისა არაფრით არ არის უზრუნველყოფილი. ჯერ ერთი, რომ გამგეობამ კარგად იცის: საბჭოს დადგენილებას იმდენად აქვს ძალა, რამდენად მას ეთანხმება ადმინისტრაციის ნება. მეორე—საბჭოს ხელთ არა აქვს დღეს უფლება, პასუხის გებაში მისცეს არა სასურველად მომქმედი და მისი ნების არ ამსრულებელი გამგეობა; ამ უფლებას მოკლებულს საბჭოს არა აქვს რეალური ძალა, იყოს თვითმმართველობის ზედამხედველი და ხელმძღვანელი ორგანო. დღეს ქალაქის გამგეობის წევრები სახელმწიფო სამსახურში ითვლებიან (რაიც არ იყო წინად) და მათი პასუხის გებაში მიცემა საბჭოს მიერ, რომელიც არ არის სახელმწიფო დაწესებულება, რასაკვირველია, უხერხული და უკანონო იქნებოდა.

ადმინისტრაცია და ქალაქის თვითმმართველობა. წინად ადმინისტრაცია თვალყურს ადევნებდა იმას, თუ რამდენად **კანონიერი** იყო ქალაქის თვითმმართველობის მოქმედება, დღეს კი იმასაც, თუ რამდენად **წესიერია და სასარგებლო** თვითმმართველობის მოქმედება.

წინანდელთან შედარებით დღეს ძლიერ ბევრია ისეთი საქმე, რომლის შესახებ საბჭოს დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნას მთავრობის მიერ; ისე დადგენილების სისრულეში მოყვანა არ შეიძლება.

გუბერნატორის მიერ დამტკიცება საჭიროა შემდეგ დადგენილებათათვის:

I. ყველა ქალაქში: 1) სესხის შესახებ, როდესაც სესხი ქალაქის შემოსავლის ნახევარს უდრის, 2) უვადოთ გაცემულ ადგილების გამოყიდვის შესახებ, 3) ხორცის, პურის, ეტლების ნიხრის შესახებ და სხვ.

II. ყველა ქალაქში, გარდა სატახტოსა: 1) გამგეობის და სხვა ორგანოებისათვის ინ-

უჩივის სახლის პატრონს, რომ სახლის სიძველის გამო ჭერი ჩამოინგრა მის კაბინეტში და გაუფუჭა იარაღები და კბილის საექიმო საგანგებო სკამი. ფრანკი იძულებული გამხდარა, დროებით შეეწყვიტა ავადმყოფების მიღება. სახლი ჯერ სპეციალისტების კომისიამ უნდა შეამოწმოს.

◆ მოიჯარადრემ კაიშაურმა შემოგვჩივლა შემდეგი: ამას წინად გენერლის დ—ვის ქვრივმა პირობით შეგვკრა მცხეთის ახლო აგარაკში სოფ. კარსანში გზის გაყვანის შესახებ. გზა უკვე გაკეთებულია და ფულის ნაწილი აღებულია, მაგრამ ს. გ. დ—სა წინააღმდეგ ხელ-შეკრულებისა არ ამოწმებს და არ იბარებს სამუშაოს; უკანასკნელად 26 აპრილს შემოთვალა ხუთ დღეში მოვიყვან სპეციალისტს სამუშაოს გასასინჯადო და დღემდის არა სჩანს. გაუსტუმრებელი მუშები მოუთმენლად ელიან ფულს და მოიჯარადრე შეწუხებულია.

◆ კურცის იარაღის სახელოსნოს ორ ახალგაზრდა მომუშავეს წაუღიათ სახელოსნოდან აზოტის სიმჟავე და კირპიჩნი ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელებს ასხამდნენ. ბევრს ტანისამოსი გაფუჭებია და ორს ხორციც კარგად დასწვია.

პოლიციამ შესაფერი ოქმი შეადგინა.

◆ სადგურ ფოთიდან იუწყებიან, რომ ხუთ მაისს რკინის გზის ვოკზალში ორ მგზავრს რაღაზედაც ლაპარაკი მოუვიდათ. ლაპარაკი ჩხუბათ გადაიქცა და, მიუხედავათ იმისა, რომ ვოკზალი ხალხით სავსე იყო, ორივემ რევოლვერი იძრო და დაახალეს ერთმანეთს, რის გამოც ერთი მოჩხუბართაგანი გვერდში დაიჭრა.

◆ ამ დღეებში ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთ. გუბ. მცხოვრების პროკოპი ძიძიგურისა, რომელსაც კაცის მოკლა ბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს საქმის გარჩევის დროს ზოგიერთ გამამართლებელ გარემოებათა მიხედვით ძიძიგური უდანაშაულოდ უცვნია და გაუმართლებია. ბრალმდებლის პროტესტით საქმე გადმოუტანიათ პალატაში, რომელმაც დამნაშავედ იცნო ბრალდებული და გადაუწყვიტა 6 თვით ციხეში დაპატიმრება.

◆ კვირას, 5 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილში მიხეილის ქუჩაზე ეტლი №-583 დაეტაკა ქუჩაში მიმავალ ვილაცა ბავშვს და თავი გაუტეხა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. მეეტლე პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

ქუთაისის ახალი ამბები

〜 პირველ მაისს ქუთაისის სახაზინო პალატამ იდღესასწაულა თავისი დაარსების წლის თავი. პალატის სადგომში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს და შემდეგ „ფრანციის“ სასტუმროში ხელ მოწერით სადილი ქონდათ გამართული, რომელზედაც ქუთაისის ზოგიერთ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და საპატიო სტუმრები ჰყავდათ მიწვეული. სადილმა მხიარულად ჩაიარა და ბევრი კარგი სიტყვა იყო წარმოთქმული.

〜 ამგვარივე წლის თავი იდღესასწაულა ს. თოფურიას საავათმყოფომ. ბ-ნ თოფურიას მრავალი ექიმები ჰყავდა მიწვეული როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ახლო-მახლო მაზრებიდანაც, რომელთაც სადილი გაუმართა. ექიმები ჩამოსულან ბათუმიდან, ფოთიდან და სხვა მხარეებიდან. სადილს დაესწრო ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. ლორთქიფანიძე. სადილმა მხიარულათ ჩაიარა და სტუმრები მეტად ნასიამოვნები დაბრუნდნენ.

〜 ამას წინად გატყობინებდით, რომ გიორგობიანის სახლის დაწვის დროს ცეცხლმა ერთი კაცი იმსხვერპლა და ჯერაც ვერ უპოვნიათ-მეთქი. 29 აპრილს, დიდის ძებნისა და მუშაობის შემდეგ ამოათრიეს დამწვარის გვამი, რომელიც შემზარავს სურათს წარმოადგენს. არც სხეულის რომელიმე ნაწილი და არც ადამიანობისა არა ეტყვია-რა, მხოლოდ ბურთივით დამრგვალებული შეხრუკული ლეშიდაა. იგი ყოფილა რაჭველი, ხელობით მჭედელი 22 წლისა. დამწვარის გვამი 30 აპრილს წაასვენეს რაჭაში მისმა ჭირისუფლებმა.

〜 30 აპრილს გათავდა ვადა, რომელიც დანიშნული იყო ქალაქის კასსაში დარჩენილ გადასახადის შესატანად. ვისაც ამ დრომდე არ შეუტანია მათზე დარჩენილი ქალაქის გადასახადი, იმას უფლება აღარა აქვს ქალაქის ხმოსნების ამორჩევაში მონაწილეობის მიღებისა.

დავიწყებული მოღვაწე

(წერილი რედაქციის მიმართ)

დიდი-ხანი არ არის, რაც ჩვენ საზოგადოებაში კითხვა აღიძრა ქართულ მუსიკაზე; ეხლა დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არ მოიპოვება შეგნებული ქართველი, რომელსაც არ აინტერესებდეს ამ ხელოვნების აწმყო და დასაბამი. ამ ერთმა დარგმაც ჩვენი ქართველი ხალხის სულიერის ცხოვრებისამ საკმარისად გაიტანა კვალი და ჩვენი მუსიკის სახელი რუსეთში და თვით ევროპაშიაც ბევრმა იცის. სამწუხაროდ, ჩვენ დავივიწყეთ ერთი მთავარი მოღვაწე ამ ასპარეზზე, რომელსაც არა მცირე მონაწილეობა მიუღია ხსენებულ კვალის გატანაში.

თექვსმეტმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ბ. აღნიაშვილმა პირველათ გამართა საერო ხოროს კონცერტი. ქართველები წინათაც ემღეროდით: მღეროდა ქართველი ხალხი, უმღეროდა დედა თავის შვილს, მაგრამ ყველა-კი თავისთვის —სიმღერა იშვიათთათვის იყო წარმოსადგენი, როგორც დამოუკიდებელი ხელოვნება. ქართული მუსიკის ისტორია ხსენებულ დროდან იწყებს სიცოცხლეს. თექვსმეტი წლის წინად ამ ერთმა, თითქმის მუსიკის არაფრის მცოდნე, კაცმა შესძლო ოცდა-ათი კაცის ერთად თავის მოყრა, მოწვევა მუსიკის მცოდნე პირისა და გაჩაღება საერო სიმღერებისა. ჩვენ დროს ერთი ხოროს მაგიერ თუმცა რამდენიმე მოიპოვება, მაგრამ იმისთანა თავ-განწირვას და ერთგულებას, როგორიც გლ. აღნიაშვილმა გამოიჩინა, ვერა ვხედავთ. აი ამ ქართული სიმღერების გამჩაღებელს და დამწყობს ამ საქმისას ისეთი ბედი ეწერა, რასაც გულ-ქვა კაცი მტერსაც არ არ მოუსურვებს: დაჰკარგა გონება და ერთი ის და დარჩა, რომ ეს სიცოცხლითვე მკვდარი კაცი სულით ავადმყოფთა სახლში მოუთავსებინათ. დღეს „ის ამ ქვეყნის აღარ არის, ფეხი უდგას სამარეში“ და ვინ იცის, რამდენი ტანჯვ-გაჭირვება გამოუვლია.

ამ დავრდომილი კაცის სახელის მოსაგონებლად კარგს ინებებენ ჩვენი სიმღერის მოყვარულნი გამართონ კონცერტი, რის შემოსავალიც ან ცოტა რამ შემწეობა მიეცეს ამ ავადმყოფს, ან კიდევ მისი სახელობით გამოიცეს კრებული ან ნაწერი რამე ქართულ მუსიკაზე. რომ ეს ადვილი შესაძლებელი საქმეა, ეს ეჭვს გარეშეა: თუ კი ჩვენი დახმარებით სხვები იმართავენ კონცერტებს, ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლიან ერთი საღამოს რიგიანად მოწყობა? ჩვენი შეგნებული საზოგადოებაც, ეჭვი არ არის, თავის თანაგრძნობას გამოუჩენს გამმართველებს ამ ფრიად სასურველი მიზნის მისაღწევად. სამაგიეროდ ამისა, ჩვენს საზოგადოებას ამ საღამოს შემთხვევა ექნება მოისმინოს მშვენიერი ქართული კილოების აღსრულება, როგორც ეს მოსალოდნელია რამდენიმე მცოდნე პირთა შეკავშირებისაგან. ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მუსიკის მოყვარულნი, თუნდაც ამ ასპარეზზე მეტოქენიც, დაივიწყებენ პირად ანგარიშებს, მისცემენ ერთმანეთს მხარს საერთო საქმის გასაუმჯობესებლად და ამნაირად თავის ზნეობრივ ვალს აღასრულებენ.

არტისტი-მომღერალი.

სასამართლო

გაზეთ „მშაკ“-ის საქმე

1900 წლის 10 აგვისტოს სომხურ გაზეთის „მშაკ“-ის მე-148 ნომერში დაბეჭდილი ყოფილა თელავის სომხების მღვდლის აბელ სუკიასოვის კორრესპონდენცია, რომელიც ადგილობრივ პოლიციას შეეხებოდა. კორესპონდენციაში მოთხრობილი იყო, სხვათა შორის, შემდეგი:

13 ივნის თელავიდან გადაიკარგა სადღაც ვინმე მიქელ ჯინვიანცი, 32 წლისა. 18 დღის შემდეგ იგი ნახეს თელავის ტყეში მგლებისაგან დაგლეჯილი. ჯინვიანცს რაღაც უსიამოვნება მოსვლია თავის ძმებთან. საღამოს მაღაზია დაუკეტია და გასაღები მელქო ბორინიანცისთვის მიუბარებია; შემდეგ წასულა და დაკარგულა; პოლიციას განუცხადეს, მაგრამ მან ვერაფერი გაიგო და მხოლოდ მშობლებმა ნახეს მე-18 დღეს, როგორც აღვნიშნეთ, მგლებისაგან დაგლეჯილი.

იმავე ივნისის თვის 16 დღეს თელავის ტყეშივე დაკარგულა 4 წლის პატარა ქალიშვილი; ამ პატარა ქალის დედა სხვებთან ერთად წასულა ტყეში ხის დასალევად; ცოტა ხანს შემდეგ წამოსულა წვიმა და ყველანი შინ გაქცეულან; დედას ჰგონებია, რომ მისი ქალი ბავშვებს გაჰყვა სახლშიო, მაგრამ გაოცებულა, როცა ბავშვი ვეღარსად უნახავთ. ოთხი დღის ძებნის შემდეგ დაკარგული ქალი ნახეს ცოცხალი თელავის მახლობლად ერთ ძველ დანგრეულ ეკლესიაში. თურმე გარყვნილ ბაზრის ბიჭებს მოუტაცებიათ ბავშვი იმ განზრახვით, რომ ქალები ტყეში წაეტყუებიათ ბავშვის საძებნელად და გაეუპატიურებიათ...

22 ივნისს—განაგრძობს „მშაკ“-ის კორესპონდენტი, მოიყვანეს ჩემთან ერთი პატარა ქალი, რომლის დედა კარგა ხანია გარდაცვლილა და მამა მისი გევორქ გაზარიანცი სადღაც წასულა; ბავშვი მიბარებული ჰყოლია გაზარიანცის რძალს, რომელიც შეუბრალებლად სტანჯავდა თურმე ბავშვს; ხან უსმელ-უჭმელს დააგდებდა თურმე, ხან ულმერთოდ დაუშენდა ჯოხს და სხვა რიგადაც აწვალებდა.

ამ საქმის გამო პოლიციისაგან ოქმი იქმნა შედგენილი, მაგრამ ზოგიერთ გულ-ქვა ბატონებისა და მღვდლის ზედ გავლენით, პოლიციამ საქმე ჩააფუჩეჩა...

„ბევრი ასეთი საზიზღარი ბოროტ-მოქმედება ხდება ქ. თელავში, დასძენს კორესპონდენტი, მაგრამ ადგილობრივი პოლიცია სრულიად გულგრილად უყურებს მათ, თითქოს ეს მათ ვალდებულებას არც შეადგენდესო.

ქალაქის თვით მართველობისაგან ადგილობრივ პოლიციას ეძლევა ფული 15 პოლიციელის დასაქირავებლად, მაგრამ პოლიციაში 15 ნაცვლად 7—8 კაცია დაქირავებული და მათგან ზოგი ლაქიის თანამდებობას ასრულებს, ზოგი მწერლისას და სხვა. პოლიციის ასეთს მდგომარეობას საჭირო ყურადღება მიექცესო.„

თელავის მაზრის უფროსს პოდპოლკოვნიკს განუსჯევს ეს წერილი თელავის პოლიციის სახელისა და ღირსების შემლახველად უცვნია და საჩივარი აღუძრავს „მშაკის“ რედაქტორ ა. ა. ქალანთარის წინააღმდეგ, თანახმად სასჯელთა დებულების მე-1039 მუხლისა.

ეს საქმე ტფ. სამოსამართლო პალატამ გუშინ განიხილა. ა. ა. ქალანთარმა პალატას წარუდგინა საბუთის რამდენიმე ქაღალდი საქმის ზემოდ აღნიშნულ ვითარების დამამტკიცებელი. პალატაში საქმის გამოძიების შემდეგ ილაპარაკა ბრალმდებლის ამხანაგმა, რომელმაც ითხოვა დაესაჯნათ ბ. ქალანთარი სასჯელთა დებულების მე-339 მუხ. ძალით. ა. ა. ქალანთარმა, რომელიც თვითონ იცავდა თავს, კარგა ხანს ილაპარაკა და უმთავრესი ყურადღება მიაქცია მის მიერ წარდგენილ საბუთის ქაღალდებს. ბრალდებულმა სთქვა: მე დავსტამბე ისეთი წერილი, რომელიც სიმართლეს არ ყოფილა მოკლებული, რაზედაც ხელს აწერდა თელავში ყველასაგან ცნობილი მღვდელი. ყოველ შემთხვევაში პასუხის მგებელი ავტორია, რომელიც თავის ვინაობას არ მალავდა და აშკარად ამტყუნებდა პოლიციას. დასასრულ ქალანთარმა სთხოვა პალატას გამართლება, რათა მწერლობამ შეიძლოს ზნეობრივ უფლების შერჩენა, დაჰგმოს ყოველივე, რაც დასაგმობია და უარ-საყოფელი.

პალატამ, ცოტა ხნის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბ-ნი ქალანთარი აღნიშნულ ბრალდებისაგან გამართლებულ იქმნა.

სტრუქციის შესახებ და 2) სავაჭრო პოლიციის ინსტრუქციის შესახებ.

III. სამაზრო ქალაქებში: ქალაქის გეგმის, ქალაქის ქონების და საქველმოქმედო დაწესებულებათა მართვის წესების შესახებ და სხ.

შინაგან საქმეთა მინისტრის (ჩვენში მთავარ-მართებლის) მიერ დამტკიცებაა საჭირო შემდეგ დადგენილებათათვის:

I. ყველა ქალაქში: 1) თვითმმართველობის მიერ მიღება ქალაქის ხარჯით შესანახად—გზებისა, ტროტუარებისა, საკვამლო მილებისა და სხ., 2) ქალაქის მიერ უძრავ ქონების გაყიდვა, 3) სესხის აღება, როდესაც სესხი აღემატება ქალაქის წლიურს შემოსავალს და სხვ.

II. საგუბერნიო, საოლქო და სატახტო ქალაქებში: 1) ქალაქის ქონების და საავადმყოფო და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათა მართვა-გამგეობის წესები, 2) ქალაქის გეგმის შეცვლა და სხვა.

III. სატახტო ქალაქებში: ინსტრუქციები გამგეობისა და სხვა ორგანოებისათვის, ინსტრუქციები სავაჭრო პოლიციისათვის და სხვა.

თუ გუბერნატორმა შეუძლებელად დაინახა საბჭოს დადგენილების დამტკიცება, მას გადასცემს საქალაქო საქმეთა საკრებულოს განსახილველად და თუ საკრებულო არ დაეთანხმა გუბერნატორს, დადგენილება გადაეცემა შინაგან საქმეთა მინისტრს.

მაგრამ გარდა იმ საქმეებისა, რომელთა შესახებ საბჭოს დადგენილება უნდა დაამტკიცოს მთავრობამ, სხვა ყოველივე დადგენილებაც უნდა წარედგინოს გუბერნატორს, რომელსაც შეუძლიან შეაჩეროს დადგენილების სისრულეში მოყვანა, თუ დაინახა, რომ იგი 1) არ ეთანხმება კანონს, ან დადგენილ იქმნა ქალაქის მმართველობის უფლების გადამეტებით და წესის დარღვევით, ან 2) არ ეთანხმება საზოგადო სახელმწიფო სარგებლობას და საჭიროებას ან ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს.

პირველ შემთხვევაში გუბერნატორი დადგენილებას გადასცემს განსახილველად საკრებულოს, რომლის გადაწყვეტილება სისრულეში იქნება მოყვანილი, თუ მას დაეთანხმა გუბერნატორი; წინააღმდეგ შემთხვევაში გუბერნატორი საქმეს უგზავნის შინაგან საქმეთა მინისტრს. მინისტრი ან უბრძანებს გუბერნატორს, რომ საკრებულოს გადაწყვეტილება სისრულეში იქმნას მოყვანილი, ან საქმეს გადასცემს სენატს, რომ გაუქმებულ იქმნას ეს გადაწყვეტილება.— ქალაქს შეუძლიან გაასაჩივროს საკრებულოს გადაწყვეტილება.

როდესაც გუბერნატორი ხედავს, რომ საბჭოს დადგენილება არ ეთანხმება სახელმწიფო სარგებლობას ან ადგილობრივ ინტერესებს, მაშინ საქმეს პირდაპირ უგზავნის მინისტრს საკრებულოს მოსაზრებასთან ერთად. ამ შემთხვევაში საბჭოს დადგენილების გაუქმება დამოკიდებულია სახელმწიფო საბჭოსა ან მინისტრების კომიტეტისაგან (სამაზრო ქალაქების საბჭოთა დადგენილებების-კი თვითონ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან).

წინად ქალაქის თავებს ყველგან საბჭო ირჩევდა და ადმინისტრაციის მხრივ საჭირო იყო დამტკიცება მხოლოდ ქალაქის თავის და მისის მოადგილეს არჩევანისა. ახლა სატახტო ქალაქებში თავებს ნიშნავს უმაღლესი მთავრობა და საყოველთაოდ საჭიროა დამტკიცება გამგეობის წევრებისაც. ამასთან თუ ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა პირველ კრებაზე ან მეორეზე არჩეული პირი ქალაქის თავად ან გამგეობის წევრად, თვითონ ნიშნავს ამ თანამდებობაზე კაცს.

წინად გამგეობის წევრთა რიცხვი დამოკიდებული იყო საბჭოს სურვილისაგან, ახლა ნორმალურ რიცხვად პირდაპირ კანონის მიერ არის მიღებული 2 წევრი, და საგუბერნიო ქალაქში შეიძლება ეს რიცხვი ავიდეს სამამდის, ასი ათასზე მეტ მცხოვრებიან ქალაქში—4-მდის და სატახტო ქალაქში ექვსამდის.

როგორც უკვე ვსთქვით ზევით, საბჭოს საგანგებო სხდომის მოსაწვევად საჭიროა ადმინისტრაციის ნება-რთვა, რომელსაც უნდა წარედგინოს საზოგადოდ ყოველის სხდომის განსახილველის საგნების სია.

ადმინისტრაციავე იხილავს ყოველგვარს საჩივარს ქალაქის არჩევნების შესახებ.

ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრები დღეს პასუხს აგებენ როგორც სასამართლოთი, ისე დისციპლინარულად. ქალაქის თავი, მისი ამხანაგი და გამგეობის წევრები სამაზრო ქალაქებში სამართალში შეუძლიან მისცეს საქალაქო საქმეთა საკრებულოს, იგივე პირები საგუბერნიო და საოლქო ქალაქებში და ქალაქის თავის და გამგეობის წევრნი სატახტო ქალაქებში — შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს მინისტრის თანხმობით და სატახტო ქალაქების თავები— სენატის პირველ დეპარტამენტს. ამავე დაწესებულებათ შეუძლიანთ დისციპლინარული სასჯელი მიუსაჯონ ქალაქის თავებს და გამგეობის წევრებს: დააჯარიმონ, საყვედური უთხრან და სამსახურიდან დაითხოვონ.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც საქმე გამგეობაში უნდა გადაწყდეს კოლეგიალურად და ქალაქის მოურავი არ ეთანხმება გამგეობის წევრებს, მათ შორის მომხდარ უთანხმოების გარჩევა გადადის გუბერნატორის და საკრებულოს ხელში...

საქალაქო თვით-მმართველობის შინაგან ცხოვრების შესახებ ჩვენ არაფერს ვიტყვით აქ; ეს ყველამ იცის, თუ ვინც ცოტათი მაინც თვალ-ყურს ადევნებს ქალაქების ცხოვრებას: ამომრჩეველები საარჩევნო კრებებს არ ესწრებიან, ხმოსნები საბჭოს სხდომებს, გადასახადებმა იმატა, გადასახადები უსამართლოდაა დანაწილებული, საბჭოსა და გამგეობაში კანცელიარიზმი და ფორმალიზმი დაბუდდა, საქალაქო მეურნეობა დაეცა,—აი თვითმმართველობის სურათი.

კალამი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მაისი

პეტერბურგი. საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ლუკიანოვი დაბრუნდა პეტერბურგში.—შვეცია-ნორვეგიის ელჩი პელდენსტოლპე ჰელსინფორსში წავიდა.

ვილნა. გუშინ 12 საათზე, როდესაც გუბერნატორი ფონ-ვალი გამოდიოდა ცირკიდან, მას მიუახლოვდა ვიღაც კაცი და პირდაპირ ესროლა რევოლვერი და მარცხენა ხელში მოარტყა; როდესაც გუბერნატორი მობრუნდა, დამნაშავემ მეორედ ესროლა მარჯვენა ფეხში; გუბერნატორი წაბორძიკდა. პოლიციამ და საზოგადოებამ მსროლელი ძირს დასცეს, მან ერთი კიდევ გაისროლა ჰაერში, რის შემდეგ მას იარაღი წაართვეს და დაატუსაღეს. ჩვენების ჩამორთმევის დროს დამნაშავემ თავისი თავი აღიარა კოვნის გუბერნიის მეშჩანინად გირშ ლეკერტად.

ვარშავა. ამ დღეებში აქ ჩამოვიდნენ გერმანელი რემონტერები 2,700 ცხენის საყიდლად, მაგრამ რადგან ამდენი ცხენი აქ ვერ იშოვეს, ამიტომ შიდა გუბერნიებში წავიდნენ.

კრონშტადტი. ლუბეს დასახვედრად დანიშნული სამხედრო გემები მოვიდნენ და თავიანთი ადგილები დაიჭირეს.

ხაბაროვსკი. ჩჟილის პროვინციის მცხოვრებთა უმრავლესობა ჯერ კიდევ აღელვებულია ქრისტიანთა წინააღმდეგ. უკანასკნელ დღეებში ჩჟილის პროვინციის იზიუმლუ-გუანცზუნისა და ვეხანის მაზრებში საქმე ძალიან გამწვავდა; მეამბოხეთა რიცხვი 30 ათას კაცს აღემატება; მათ მეთაურობს ცინ-შინ-პინი, რომელმაც თავისი ცოლ-შვილი დახოცა, რათა ამით დაემტკიცებინა თავისი ერთგულება ამბოხებისადმი. ირწმუნებიან, რომ ჯარები უარს ამბობენ და მეამბოხეთ არ ებრძვიან. იმპერატორმა 23 აპრილს ბრძანება მისცა იუნშიკაის ილონოს ლონე ამბოხების მოსასპობლად.

ნოვგოროდი. ადგილობრივმა საზოგადოებამ დღესასწაული გაუმართა ლეიბ-გვარდიის დრაგუნთა პოლკს. პოლკის უფროსმა გენ. იაფიმოვიჩმა სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა.

გუშინ ხომალდის ნაპერწკალისაგან ცეცხლი წაეკიდა დრაგუნთა პოლკის ნივთებით დატვირთულ გემს; სხვათა შორის, დაიწვა სვერჩკოვის სურათი „ნავარინის ბრძოლა“, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აჩუქა პოლკს.

სოხუმი. სასურველია, რომ უბრალო კორესპონდენცია სოხუმსა და სხვა ნავთსადგურებში გარდა საფოსტო გემებისა, სამგზავრო გემებითაც იგზავნებოდეს.

პოტსდამი. იმპერატორის, სამეფო სახლის წევრების და რუსეთის ელჩის თანადასწრებით გადახდილ იქმნა სამოსწავლო ქვეითა ბატალიონის შედგენის დღესასწაული. გენერალმა კესსელმა იმპერატორის სადღეგრძელო დალია, იმპერატორმა სამჯერ წარმოსთქვა „ურა“ რუსეთის იმპერატორის პატივსაცემლად.

პარიჟი. ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს რუსულ ეკლესიაში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა.

ცარსკოე სელო. 6 მაისს, ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს, ცარსკოე სელო მორთული იყო ბაირაღებით. 11 საათზე მათი უდიდებულესობანი წირვაზე წავიდნენ; წირვას დაესწრნენ საიმპერატორო სახლის წევრები. ხელმწიფე იმპერატორი ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკის ფორმაში იყო.

პეტერბურგი. 6 მაისს ქალაქმა იდღესასწაულა ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღე. ისააკის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და სამადლობელი პარაკლისი. წირვა შეასრულა პეტერბურგის და ლადოგის მიტროპოლიტმა.

მიტროპოლიტ მაკარიოსის სრული 1000 მან. პრემია უწმინდესი სინოდის სამოსწავლო კომიტეტმა მიუსაჯა მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორს ბელიაევს.

უწ. სინოდმა შეუძლებლად დაინახა ცოლიანი მღვდების აკადემიის სტუდენტებად მიღება.

მადრიდი. კარლისტების ორგანომ დაბეჭდა დონ-კარლოსის სურათი და განაცხადა, რომ ხელ-ახლად შეჰფიცავს პრეტენდენტს ერთგულობას.

7 მაისი.

პეტერბურგი. ბევრ ქალაქიდან მოვიდა ცნობა, რომ ხელმწიფე-იმპერატორის დაბადების დღესასწაულ დღეს პარაკლისები გადაიხადეს.

„პრავიტ. ვესტნიკ.“-ი იტყობინება: „ვილნოში 5 მაისს, საღამოს მეთერთმეტე საათზე, გუბერნატორს ფონ-ვალს თავს დაესხნენ და მოკვლა ჰსურდათ, როგორც სჩანს, პოლიტიკურის აზრით. დამნაშავე სამხედრო სასამართლოს გადაეცა.

გასულ თვეში პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა.

ვილნა. „ვილენსკი ვესტნიკ“-ის დამატებაში დაბეჭდილია: „ფონ-ვალმა ღამე მშვიდობიანად გაატარა; დილას სიცხე ჰქონდა $37.^{5}$. ორი ჭრილობა აქვს: ერთი მარცხენა ხელში იდაყვს ზემოდ, ტყვია შიგვე აქვს; მეორე მარჯვენა ფეხში, ტყვიამ გაიარა თეძოში და თეძოს წინა ნაწილში გაჩერდა... ორივე ტყვია ამოუღეს. ავადმყოფი კარგად გრძნობს თავს.“ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან თანაგრძნობის დეპეშა მიიღო.

ბერლინი. ხელმწიფე-იმპერატორის დაბადების დღეს საელჩოს ეკკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს; შემდეგ გერმანიის იმპერატორმა რუსეთის საელჩოს წევრები საუზმეზე მიიპატიჟა.

ჰააგა. დღეს მოხდა მშვიდობიანობის მომხრეთა კრება. მინისტრად ნამყოფმა ვანგუტენსმა სამხრეთ-აფრიკის ომი ბოროტებად და საერთაშორისო უფლების საწინააღმდეგოდ აღიარა.

პარიჟი. ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღესასწაულის გამო გადახდილს პარაკლისს დაესწრნენ ლუბესა და დელკასეს წარმომადგენლები.

ვენა. ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს საელჩოს ეკკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს.

პარიჟი. პრეზიდენტის რუსეთში გამომგზავრების გამო გაზეთებში წერილებია დაბეჭდილი. „ჟურნალ“-ი ამბობს: „საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი კვლავ შეიქმნება დიპლომატთა სალაპარაკო საგნად; ხელმწიფისა და გრაფ ლამსდორფის შემდეგ თავად ურუსოვსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ კავშირის საქმეში; სიყრმიდანვე თავადს უყვარდა საფრანგეთი, სიხარულით მიეგება საფრანგეთის ელჩად დანიშვნას და ბევრსაც ეცადა მეგობრული კავშირი დაემყარებინა ამ ორ სახელმწიფოთა შორის.

პეტერბურგი. 7 მაისს, დილის $10^{1}/_{4}$ საათზე კრონშტადტის ნავთ-სადგურში პრეზიდენტ-ლუბეს მიეგებნენ. მეათხე საათზე ნავთსადგურში მოვიდა იახტა „ალექსანდრია“, რომელზედაც ბრძანდებოდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, სასახლის, გარეშე საქმეთა და ზღვათა მინისტრები, ელჩები თავ. ურუსოვი და მარკიზი მონტებელლო და სხვანი. სამხედრო გემები ორ პირად ჩამწკრივდნენ კრონშტადტიდან ზღვისაკენ; ნავთ სადგურში დიდძალი გემები იდგნენ საზოგადოებით. როდესაც საფრანგეთის ესკადრა გამოჩნდა, სიმაგრეებიდან ზარბაზნების სროლა დაიწყეს. მოახლოვდა თუ არა გემი „მონკალმი“, მასთან მივიდა საიმპერატორო ნავი, რომელზედაც ბრძანდებოდა მისი უმაღლესობა ალექსი ალექსანდრეს ძე. მისი უმაღლესობა და პრეზიდენტი ლუბე ჩასხდნენ ნავში და წავიდნენ გემ „ალექსანდრია“-საკენ; ზღვაოსნები და საზოგადოება ჰყვიროდა: „გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს რუსეთს!“ მუსიკა მარსელიეზას უკრავდა. ხელმწიფე იმპერატორი გულითადათ მიესალმა პრეზიდენტს. შემდეგ პრეზიდენტი ხელმწიფის გვერდით დაჯდა და იახტამ პეტერგოფისაკენ გასწია.

პეტერგოფში ელოდებოდნენ დიდი მთავრები, იმპერატორისა და მათ უმაღლესობათა ამალა და საპატიო დარაჯნი.

იმპერატორმა და პრეზიდენტმა ჩაუარეს საპატიო დარაჯთ და ეტლებით გაემგზავრნენ რკინის გზის სადგურზე. მატარებელში ჩასხდნენ ხელმწიფე, პრეზიდენტი ლუბე, მინისტრი დელკასსე, რუსეთის მინისტრები და ამალა; იქვე ისაუზმეს და შემდეგ მატარებელი გაემგზავრა ცარსკოე-სელოში.

ხელმწიფე და პრეზიდენტი ცარსკოე-სელოს მივიდნენ ნაშუადღევის მეორე საათზე და ეტლით გაემართნენ დიდ სასახლისაკენ, სადაც პრეზიდენტისათვის მომზადებულია სადგომი. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მის უდიდებულესობას და უმაღლესს სტუმარს. ხელმწიფემ ლუბე მიაცილა დანიშნულ სადგომამდე და შემდეგ ალექსანდრეს სასახლეში დაბრუნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ პრეზიდენტი სადარბაზოდ იყო ხელმწიფე-დედოფალთან და წარუდგინა მას თავისი ამალა. ცარსკოე-სელოდან პრეზიდენტი თავის ამალით გატჩინოს წავიდა, ინახულა დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და ისევ ცარსკოე-სელოს დაბრუნდა.

შეცდომის გასწორება. სოხუმიდან 26 აპრილს გამოგზავნილს დეპეშაში ტელეგრაფმა დაამახინჯა ფოთის ნავთ სადგურის ამშენებლის გვარი: უნდა ყოფილიყო ქარინცევი.

მოგებათა ტირაჟი

1-ლ მაისს სათავად აზნაურო სახელმწიფო ბანკის 5% მომგებიან ბილეთების ტირაჟში მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

№№ სერიებისა.	№№ ბილეთებ.	მოგების ჯამი.	№№ სერიებისა.	№№ ბილეთებ.	მოგების ჯამი.
00018	32	500	08174	36	500
00043	50	500	08209	48	500
00057	9	500	08269	25	1000
00155	38	1000	08275	45	500
00183	21	500	08307	44	500
00460	36	500	08351	37	500
00598	11	500	08456	33	500
00629	28	500	08480	36	500
00656	1	500	08668	49	5000
00713	4	500	08681	1	500
00818	5	500	08768	41	500
00880	31	1000	08825	1	500
00909	1	500	08858	4	500
00976	41	500	08861	16	500
01011	46	500	08992	26	500
01024	8	500	09118	29	500
01034	42	1000	09139	47	500
01157	4	500	09149	24	500
01208	16	500	09190	31	500
01245	12	1000	09240	15	500
01351	46	500	09244	43	500
01448	1	500	09267	32	500
01461	30	500	09299	37	500
01526	42	500	09342	5	8000
01544	35	500	09356	8	500
01567	18	200000	09364	23	500
01570	38	500	09395	14	500
01605	4	1000	09423	39	500
01609	41	500	09484	27	500
01655	28	8000	09503	35	500
01662	24	500	09519	35	500
01710	31	500	09544	14	500
01851	26	1000	09629	19	500
01860	2	500	09648	24	500
01874	16	500	09662	23	500
01883	19	500	09670	25	500
01954	7	500	09787	33	500
01981	28	500	09807	28	500
01995	25	500	09811	17	500
02087	2	1000	09842	34	500
02234	24	500	09850	45	500
02238	17	500	09900	12	500
02263	17	500	09909	19	500
02273	3	500	10064	46	8000
02275	19	500	10095	42	500
02276	33	500	10150	4	500
02289	12	75000	10360	36	500
02301	26	500	10365	42	500
02426	39	500	10384	24	500
02475	29	1000	10462	11	500
02477	10	500	10467	20	500
02494	32	500	10523	12	1000
02562	38	500	10569	43	500
02730	24	500	10679	44	25000
02813	32	500	10708	39	500
02874	33	500	10840	42	500
02882	39	500	10964	39	500
02965	26	500	11067	32	500
03088	10	500	11070	41	500
03120	43	500	11134	31	500
03268	49	500	11151	30	500
03269	45	500	11270	16	8000
03281	7	500	11208	46	500
03318	47	500	11334	13	500
03326	36	500	11250	36	500
03332	34	500	11495	2	500
03371	45	500	11530	37	500
03535	26	500	11668	6	5000
03707	22	500	11675	20	500
03732	40	500	11719	49	40000
03786	31	500	11761	1	500
03788	38	500	11776	20	500
03915	24	500	11817	49	500
03946	33	500	11885	3	500
04107	15	500	12004	12	500
04145	16	500	12145	33	500
04177	2	500	12209	49	500
04251	43	500	12262	8	500
04421	33	500	12406	41	500
04422	39	1000	12423	23	500
04467	32	5000	12456	18	500
04528	20	500	12483	2	500
04532	14	500	12536	44	500
04549	15	500	12550	26	500
04556	2	500	12667	22	1000
04666	37	500	12713	23	500
04752	18	500	12747	6	500
04805	46	500	12856	15	500
04816	36	1000	12999	15	500
04867	47	500	13035	5	500
04900	37	500	13150	44	500
04950	32	500	13274	2	500
04983	18	500	13286	22	500
04990	28	500	13301	6	500
05018	36	500	13303	23	500
05230	5	500	13342	45	500
05247	48	1000	13372	36	500
05331	13	500	13485	35	500
05334	17	5000	13489	17	500
05378	21	500	13492	44	500
05470	29	500	13493	21	500
05539	5	500	13522	29	500
05556	9	500	13524	32	500
05592	8	500	13586	7	500
05694	33	500	13627	10	500
05732	41	5000	13646	21	5000
05794	13	500	13657	29	1000
05842	49	500	13666	24	500
05856	7	500	13682	5	500
05871	13	500	13715	24	500
05882	32	500	13753	14	1000
05916	17	500	13754	36	500
06000	11	500	13774	19	500
06028	50	500	13885	27	500
06080	3	500	13921	47	500
06092	5	500	13999	21	500
06122	32	500	14026	5	500
06181	36	500	14109	50	500
06229	1	500	14183	7	500
06249	35	500	14230	39	500
06625	45	5000	14358	37	500
06645	8	500	14382	42	500
06716	19	500	14401	35	500
06721	31	500	14408	14	500
06777	10	500	14411	14	1000
06862	1	500	14564	37	5000
07087	4	1000	14574	3	1000
07137	48	500	14602	3	1000
07226	38	500	14661	31	500
07264	3	500	14745	20	500
07293	23	500	14800	40	500
07340	33	500	14851	1	500
07354	20	500	14959	39	500
07430	33	500	15141	24	500
07622	42	500	15166	49	500
07689	25	500	15167	47	500
07724	7	10000	15173	18	500
07792	47	500	15242	3	500
07853	28	8000	15242	24	500
07870	20	500	15366	28	500
07925	14	500	15404	11	500
07949	49	500	15568	27	10000
07952	35	500	15656	10	500
08024	44	500	15751	6	500
08073	17	500	15757	35	500
08083	50	500	15830	23	5000
08103	32	500	15859	1	10000
08129	23	500	15906	34	500
08161	31	500	15912	6	500
08164	6	500	15965	20	500

გაბათილებული იქმნა შემდეგი სერიის ბილეთები; თითო სერიაში 50 ბილეთია (№№ 1—50)

00070
00123
00129
00283
00284
00302
00326
00479
00545
00547
00691
00884
01034
01109
01494
01555
01659
01719
01753
02029
02062
02206
02223
02252
02352
02364
02517
02524
02654
02712
02787
02792
02893
02926
02932
03030
03079
03124
03146
03150
03230
03246
03356
03485
03834
04294
04335
04342
04395
04451
04793
05087
05179
05348
05364
05488
05623
05916
05921
06080
06289
06376
06426
06555
06627
06726
06761
07025
07076
07093
07107
07123
07147
07153
07218
07376
07560
07567
07856
07903
07948
07955
08166
08189
08240
08280
08363
08524
08740
08764
08765
09145
09304
09325
09365
09480
09526
09561
09579
09668
09987
10158
10471
10851
11082
11157
11198
11379
11658
11831
12083
12223
12322
12413
12587
12609
12622
12671
12816
13108
13115
13468
13642
13717
13773
13788
13840
13868
13934
13940
14014
14120
14185
14226
14331
14345
14382
14394
14413
14467
14510
14922
15020
15244
15440
15538

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ზ ი ზ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
კურის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Мая 1902 года.

ელ.'ტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.